თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის თეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა

თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 9 აკადემიური და 18 მოწვეული პედაგოგით.

კრედიტების რაოდენობაა 155, საშუალოდ, თითო სემესტრში 25 კრედიტით. თითო აკადემიური წელი მოიცავს 50-55 კრედიტის დაძლევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

მოძღვრის რეკომენდაცია;
უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი.

შიდა გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:

წმინდა წერილი (ზეპირი);

ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი);

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

საქართველოს ისტორია (ზეპირი);

უცხო ენა (ტესტირება - ინგლისური ენა (B1), რუსული ენა (B1), გერმანული ენა (A1), ახალი ბერძნული ენა (A1).

შიდა გამოცდების ქვედა ზღვარია 51 ქულა, ზედა ზღვარი - 100 ქულა.
მისაღები სტუდენტების რაოდენობა არაუმეტეს 25-ისა.
სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სალექციო და სასემინარო საათები, რომელიც მოიცავს სასწავლებლის მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს:

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდს; დისკუსია/დებატებს; სემესტრული სემინარების/კოლოკვიუმების მომზადება-ჩაბარებას; ახსნა-განმარტებით მეთოდს; პრეზენტაციის მომზადებას, სემესტრულად დასკვნით გამოცდებს.

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც აერთიენებს შუალედურ შეფასებას, კოლოკვიუმისა და სემინარის ქულებს, ლექციებზე დასწრებისას და დასკვნითი შეფასების საერთო ჯამს (გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს არანაკლებ 11 ქულისა).

მაგისტრატურაში სწავლება ხორციელდება სამი მიმართულებით:

ბიბლეისტიკის მოდული;
დოგმატიკისა და პატრისტიკის მოდული;
ეკელსიის ისტორიისა და კანონიკური სამართლის მოდული.

სწავლების პირველ სემესტრში, სამივე მოდულს ეკითხება საერთო საგნები. ძირითადი დატვირთვა მოდის შემდეგ საგნებზე: წმიდა წერილი (ძველი და ახალი აღთქმა), საქართველოს ეკლესიის ისტორია, ძველი ქართული ენა, აკადემიური წერა, წმიდა წერილის შესავალი.

პირველი კურსის მეორე სემესტრიდან სწავლება გრძელდება მოდულების მიხედვით. სასურველ მოდულს სტუდენტი ირჩევს პირველი სემესტრის დასრულებამდე ერთი თვით ადრე. მოდულებზე იკითხება, როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო საგნები. სწავლების მეორე სემესტრში საერთო საგნები არის შემდეგი: ახალი აღთქმა; ძველი აღთქმა; ძველი ბერძნული ენა. ხოლო ინდივიდულარუ საგნები, მოდულების მიხედვით არის შემდეგი: **ა) ბიბლეისტიკა:** ტექსტოლოგია; ბიბლიური არქეოლოგია; ძველი ქართული ენა. **ბ) დომატიკა და პატრისტიკა:** დოგმატური ღვთისმეტყველება; ძველი ქართული ენა; საქართველოს ეკლესიის ისტორია. **გ) ეკლესიის ისტორია და კანონიკა:** ეკლესიის ისტორია დევნის პერიოდში; აკადემიური წერა; საქართველოს ეკლესიის ისტორია.

მომდევნო სამ სემესტრში (III-V), საერთო საგნებიდან ეკითხებათ: ძველი ბერძნული ენა, დოგმატიკა, ლიტურგიკა და ასევე ეკითხებათ ინდივიდუალური საგნები, შესაბამისი მოდულების მიხედვით. ეს საგნებია: ბიბლიური თარგმანები და რედაქციები;

კანონიკური სამართალი; ლათინური ენა; ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში; ეკლესიის ისტორია მე-9 ს-დან მე-15 საუკუნის ჩათვლით; შედარებითი ღვთისმეტყველება; პრაქტიკული ლიტურგიკა; ორიენტალური ეკლესიების ისტორია; პატრისტიკა.

მეექვსე სემესტრი ეთმობა საკვალიფიკაციო ნაშრომზე დამოუკიდებელ მუშაობას

სწავლების მეთოდი მოიცავს სალექციო საათებს, სემინარებს, დამოუკიდებელ მუშაობას, კოლოკვიუმებს, დისკუსიას და პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლების მეთოდიკას.

სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტი აღჭურვილია შემდეგი ცოდნითა და უნარებით:

აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

ფლობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; დასკვნის უნარს; კომუნიკაციის უნარს; სწავლის უნარს; სამეცნიერო-კვლევით უნარს.

სასწავლო კურსი დასრულებულად ითვლება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ, რის შედეგად კურსდამთავრებულს ენიჭება თეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნული კვალიფიკაციის დიპლომით, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს ამავე სასწავლებლის სადოქტორო პროგრამაზე.

სამაგისტრო პროგრამა (აკადემია)

I სასწავლო წლის პროგრამა

მოდული ა) ეკლესიის ისტორია და კანონიკა; მოდული ბ) დოგმატიკა და პატრისტიკა; მოდული გ) ბიბლეისტიკა.

I სემესტრი				
№	საგნის დასახელება	საათები (კვირის მიხედვით)	საათები სემესტრულად	კრედიტები
1	წმ. წერილი შესავალი	3	45	5
2	ახალი აღთქმა I	4	60	5
3	ძველი აღთქმა I	4	60	5
4	აკადემიური წერა	3	45	5
5	ძვ. ქართული ენა	3	45	5
		ჯამი	ჯამი	ჯამი
		17 სთ	255 სთ	25 კრ

II სემესტრი მოდული ა) ეკლესიის ისტორია და კანონიკა				
№	საგნის დასახელება	საათები (კვირის მიხედვით)	საათი სემესტრულად	კრედიტები
1	ახალი აღთქმა II	4	60	5
2	ძველი აღთქმა II	4	60	5
3	ეკლესიის ისტორია დევნის პერიოდში I	3	45	5
4	ძველი ბერძნული ენაI	4	60	5
5	საქართველოს ეკლესიის ისტორია	2	30	5
		ჯამი	ჯამი	ჯამი
		17 სთ	255 სთ	25 კრ

III სემესტრი მოდული ა) ეკლესიის ისტორია და კანონიკა				
№	საგნის დასახელება	საათები (კვირის მიხედვით)	საათები სემესტრულად	კრედიტები
1	ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდი II	3	45	5
2	ძველი ბერძნული ენა II	4	60	5
3	კანუნიკური სამართალი I	3	45	5
4	დოგმატიკური ღვთისმეტყველება I	4	60	5
5	ასკეტიკა I	3	45	5
		ჯამი	ჯამი	ჯამი
		17 სთ	255 სთ	25 კრ

IV სემესტრი მოდული ა) ეკლესიის ისტორია და კანონიკა				
№	საგნის დასახელება	საათები (კვირის მიხედვით)	საათები სემესტრულად	კრედიტები
1	ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდი III	3	45	5
2	კანონიკური სამართალი II	3	45	5
3	რეფორმატორული ეკლესიების ისტორია	3	45	5
4	დოგმატური ღვთისმეტყველება II	3	45	5
5	ასკეტიკა II	3	45	5
		ჯამი	ჯამი	ჯამი
		16 სთ	240 სთ	25 კრ

V სემესტრი
მოდული ა) ეკლესიის ისტორია და კანონიკა

№	საგნის დასახელება	საათები (კვირის მიხედვით)	საათები სემესტრულად	კრედიტები
1	კანონიკური სამართალი III	3	45	5
2	ეკლესიის ისტორია IV	3	45	5
3	ანტიქალკედონური ორიენტელური ეკლესიების ისტორია V	3	45	5
4	ლიტურგიკული ღვთისმეტყველება	3	45	5
5	პატროლოგია	3	45	
		ჯამი	ჯამი	ჯამი
		15 სთ	225 სთ	25 კრ

VI სემესტრი
მოდული ა) ეკლესიის ისტორია და კანონიკა

1	სამაგისტრო ნაშრომი	30 კრედიტი

კრედიტი: 155
სააუდიტორო დატვირთვა: 1230 აკადემიური საათი
სრული დატვირთვა: 3195 ასტრონომიული საათი